პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი,
22 ივლისი,
1958 წელი
№ 87 (1257)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-15 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

# მიმდინარეობს პროფკავშირების სპარტაკიადა

## ტანვარჯიში

სპარტაკიადის პირველობაზე სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" გუნდები. შეჯიბრება მიმდინარეობდა პირველი თანრიგისა და სპორტის ოსტატის პროგრამით, მაგრამ ვინაიდან სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ტანმოვარჯიშეთა ერთმა ნაწილმა დაბალი შეფასებები მიიღო, მონაწილეთა საერთო რაოდენობამ ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ საკმაოდ იკლო.

ქალთა შორის პირველ თანრიგში უძლიერესი აღმოჩნდა „განთიადის" წევრი გ. ბეთანიშვილი, რომელმაც 69,45 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს 4 ქულით ჩამორჩა მისივე თანაგუნდელი ლ. ხატკოვა. ამავე თანრიგში ვაჟთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ი. აივაზიანს, მეორე ადგილზეა მ. ტყეშელაშვილი (ორივე „განთიადიდან").

ოსტატ ქალთა შორის სავალდებულო ვარჯიშებში დაწინაურდა ვ. კლიმოვა („განთიადი"), რომელსაც 0,35 ქულით ჩამორჩებოდა ე. ხახუბია („ბურევესტნიკი"). ვ. კლიმოვამ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის მდგომარეობა სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ და პირველ ადგილზე გამოვიდა 72,9 ქულით. წარმატება ხვდა წილად „ლოკომოტიველ" თ. ჭაჭაიას, რომელმაც გაუსწრო ე. ხახუბიას და გამარჯვებულს მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ი. კოვალიოვი („განთიადი") და შ. რევიშვილი („ბურევესტნიკი") ი. კოვალიოვმა თანაბარი სიძლიერით შეასრულა როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერი ვარჯიშები და 104,5 ქულით გამოვიდა პირველ ადგილზე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „განთიადის" ტანმოვარჯიშეებმა. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკი".

**ა. ბარნაბიშვილი**

✦

## ცურვა

პიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საცურაო აუზში მიმდინარეობდა მოცურავეთა შეჯიბრება.

უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა რიცხვი პროგრამის ზოგიერთ სახეობაში მეტად მცირეა. გათვალისწინებული 20 სახეობიდან 13-ში მონაწილეთა რაოდენობა 5-6 კაცს არ ასცილებია, ხოლო 4 სახეობაში მესამე საპრიზო ადგილის პრეტენდენტებიც კი არ აღმოჩნდნენ.

ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის უძლიერესის სახელი დაიმსახურეს ბათუმის ლუდის ქარხნის სპორტსმენებმა, რომლებმაც მეორე ადგილზე გამოსულ თბილისელ ჩარხმშენებლებთან დაძაბულ ბრძოლაში გაინაღდეს პირველი ადგილი.

ნაკრებ კოლექტივებს შორის გამარჯვება წილად ხვდა თბილისის ნაკრებს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ აფხაზეთის, მესამეზე — აჭარის მოცურავეები. ქუთაისელმა სპორტსმენებმა შეჯიბრებაში ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვეს და ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

ძვირად დაუჯდა ე. ჩერნიშოვის არასპორტული საქციელი ბათუმის კოლექტივს. მსაჯთა კოლეგიამ ჩერნიშოვი შეჯიბრებიდან მოხსნა და გააუქმა მისი შედეგები (პირველი ადგილები 100 მ ზურგზე, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვასა და კომბინირებულ ესტაფეტაში) რითაც კოლექტივმა 2500-ზე მეტი ქულა დაკარგა.

3-დღიანი ბრძოლის შედეგად სხვადასხვა დისტანციაზე ცურვაში გამარჯვებულის საპატიო სახელი დაიმსახურეს: **ქალთა შორის** — ვ. დოლენკომ (სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორა), ლ. რედნიცკაიამ (თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა), ვ. დავგალოვამ (თბილისის ნაკრები), ა. ნარიმანიძემ (თბილისის ნაკრები). **ვაჟებში:** გ. გრძელიძემ (თბილისის ნაკრები), ვ. ხეინგიამ (სოხუმის ნაკრები), ვ. იგოლნიკოვმა (ბათუმის ლუდის ქარხანა), ა. ტულუპოვმა (თბილისის ნაკრები), ა. ლისიკოვმა (აჭარის ნაკრები), ვ. შეველიოვმა (თბილისის ნაკრები).

**ა. ბარნოვი**

✦

## კრივი

უმძიმესი წონის მოკრივეების რ. მუკოიანისა („ბურევესტნიკი") და ე. მელიქიანის („განთიადი") შეხვედრით გაიხსნა საქართველოს პროფკავშირების II სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა კრივში. რ. მუკოიანმა კარგ სტილში ჩაატარა მთელი ბრძოლა და პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მომდევნო წონაშიც ა. ალაშვილსა და ბ. პოზინის („ბურევესტნიკი") ბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო „ბურევესტნიკის" მოკრივეთა უკანასკნელი წარმატება. ქვემსუბუქ და ქვემძიმე წონებში ლ. ასატუროვსა და ნ. ამაშუკელს („განთიადი") უბრძოლველად ჩაეწერათ მოგებები.

აგრესიული შეტევით დაიწყო ბრძოლა მსუბუქი წონის მოკრივე ხ. ჯავახაძემ („ბურევესტნიკი") განთიადელ გ. კაზარიანის წინააღმდეგ, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოწინააღმდეგის შეტევას აქტიური დაცვა დაუპირისპირა და ბოლო რაუნდში თვითონ გადავიდა შეტევაზე, რამაც შეხვედრის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

პირველ ქვესაშუალო წონაში განთიადელი ი. სილაგაძე სამივე რაუნდის განმავლობაში შორი მანძილიდან ცდილობდა ბრძოლას თავის თანაგუნდელ შ. ვარდანიანის წინააღმდეგ, რომელმაც კარგად გამოიყენა მისი ეს შეცდომა და ახლო ბრძოლაზე ააგო შეხვედრა. ტაქტიკურად სწორად წარმართულმა ბრძოლამ გამარჯვება შ. ვარდანიანს მოუტანა.

მომდევნო წონაში ო. ზებულაშვილმა („ბურევესტნიკი") და პ. ხუბეჟოვმა („განთიადი") წინა დღეს თავიანთი მოწინააღმდეგეები აშკარა უპირატესობით დაამარცხეს. მათი ფინალური შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგო პ. ხუბეჟოვმა.

პირველ საშუალო წონაში გ. დარბაისელმა („განთიადი") გაიმარჯვა ბურევესტნიკელ გ. გუნიასთან, რომელმაც კარგად ჩაატარა პირველი რაუნდი, მაგრამ შემდგომში დაუშვა უხეში შეცდომები და წააგო კიდეც ბრძოლა.

მომდევნო წონით კატეგორიაში ნ. დარბაისელის წინააღმდეგ გამოვიდა ჟ. ზაქარაია („განთიადი"), რომლის პირდაპირმა დარტყმებმა რამდენიმეჯერ მიაღწია მიზანს, მაგრამ დარბაისელმა მალე მოძებნა მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი და რამდენიმე სერიული დარტყმის შემდეგ მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა ნ. დარბაისელის აშკარა უპირატესობის გამო.

მძიმე წონაში ჩატარდა მხოლოდ ერთი ბრძოლა, რომელიც იგი ა. ბორტნიკოვის („განთიადი") გამარჯვებით დამთავრდა. 12 ქულით საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა „განთიადის" მოკრივეთა გუნდი, მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 19 ქულა.

**გ. სამსონაძე**

> **24 აგვისტოს, მოსკოვში გაიხსნება პროფკავშირების სრულიად საკავშირო სპარტაკიადა**

✦

## მძლეოსნობა

მხოლოდ ორი პირველი თანრიგის შედეგით აღინიშნა შეჯიბრება მძლეოსნობაში.

აღსანიშნავია ახალგაზრდა მძლეოსანი ქალების ნ. შატალოვასა და ე. ჩარკვიანის წარმატება ბადროს ტყორცნაში, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ დაიწყეს ბადროს ტყორცნის ტექნიკის ათვისება მწვრთნელ შ. კილაძესთან და უკვე ამ შეჯიბრებაზე პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს. მათი შედეგებია შესაბამისად 39,03 მ და 38,16 მ. შეიძლება ითქვას, რომ სისტემატური წვრთნის შედეგად მათ შეუძლიათ ამ სეზონშივე მიაღწიონ პირველი თანრიგის შედეგებს.

თბილისის ნაკრები გუნდის წევრმა ა. ოლადკომ გააუმჯობესა პირადი მიღწევა სიმაღლეზე ხტომაში და დაძლია 1,55 მეტრი, რაც პირველი თანრიგის ნორმატივს უდრის. მან 5 სანტიმეტრით მოუგო რესპუბლიკის ჩემპიონს ს. როზანოვას. სამხტომში მონაწილეთა შორის წინასწარი შედეგებით ყველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდა ქუთაისელ თ. გიორგობიანს — 14, 23 მ, რომელმაც შეინარჩუნა პირველი ადგილი. პერიფერიებიდან ჩამოსულ სპორტსმენთა გამარჯვებით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. პირველი ადგილი წილად ხვდა ბათუმელ გ. ბოხუას — 6,64 მ. მას მხოლოდ 5 სანტიმეტრით ჩამორჩა ქუთაისელი ს. ფრიდმანი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფიდან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა თბილისის პროფკავშირების ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე არიან ქუთაისის, ხოლო მესამეზე — აჭარის „განთიადის" მძლეოსნები. მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო სამხრეთ ოსეთის „განთიადის" კოლექტივი.

დანარჩენი ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები:** 100 მეტრი გ. კონოფოლსკაია (თბილისი)—12,8.200 მ თ. სპირიდონოვა (ქუთაისი)—28,8, 80 მ თარჯებით ლ. ვოლოშინა (თბილისი) — 12,2, სიგრძეზე ხტომა თ. სპირიდონოვა (ქუთაისი) — 5,06. ბირთვი — ლ. კუჩერენკო (თბილისი) — 11,77 მ. 400 მ ნ. მუხურაძე (თბილისი) — 1.01,6. შუბი მ. ჯიქიძე (ქუთაისი) — 30,04 მ, ხუთჭიდი დ. მინაძე (თბილისი) — 3.389 ქულა. ესტაფეტა 4×100 (თბილისის ნაკრები) — 54,2.

**ვაჟები:** 200 მ გ. თურმანიძე (თბილისი) — 22,8. 400 მეტრი ლ. ნიკოგოსოვი (თბილისი) — 51,8, 800 მეტრი ვ. ივანოვი (თბილისი) — 1.57,6, 1500 მ. ვ. ივანოვი (თბილისი) — 4.06,4 ბადრო ე. ნოზაძე (თბილისი)— — 43,97 მ, უროს ტყორცნა ვ. კოვალენკო (თბილისი) — 51,39 მ, ჭოკი ი. შუკუროვი (თბილისი) — 3,80, 20 კმ-ზე სიარული ი. ურკევიჩი (თბილისი) — 1:53.36,0. რბენა 5 კმ-ზე ვ. სუხანოვი (თბილისი) — 15.40,4.

**ლ. აბაზაძე**

✦

## ძალოსნობა

მონაწილე გუნდები დაყოფილ იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები, ხოლო მეორეში — ძირეული კოლექტივების ძალოსნები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირად ჩათვლაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ზ. ყიფშიძე — 270 კგ, ვ. კოლონჩენკო — 290 კგ, კ. ჩალათაშვილი — 345 კგ (ყველა — „ბურევესტნიკი"), გ. მიმინოშვილი („ლოკომოტივი") — 370 კგ, ვ. რადიმაშვილი („განთიადი") 375 კგ, გ. სანიკიძე — 375 კგ, ბ. კუპუხიძე (ორივე „ბურევესტნიკი") — 345 კგ.

საერთო ჩათვლაში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის გაიმარჯვეს თბილისელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან აფხაზეთისა და რუსთავის გუნდები.

მეორე ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენები, რომლებმაც ერთი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ ქუთაისის ავტოქარხნის ძალოსანთა გუნდს.

აღსანიშნავია საშუალო წონის ძალოსნის კ. ბაზაძის წარმატება. მან ატაცში აჩვენა 120,5 კგ და დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი. შეჯიბრების მსვლელობაში ნაჩვენები იქნა 55 სათანრიგო შედეგი. ახალგაზრდა ძალოსანთაგან აღნიშვნის ღირსნი არიან გ. კასრელიშვილი, ბ. ჩემია, ა. გოგოლაური (რუსთავი), ა. ბეკოევი, გ. აბდუშელიშვილი (სტალინირი), პ. კოსტავა, გ. დადუნაშვილი (ქუთაისი), გ. მჭედლიძე, გ. ნარსია, დ. ჩიგლაძე (თბილისი), ს. ალთუნიანი (სოხუმი), ვ. ჩაგუნავა (ბათუმი) და სხვ.

**კ. ზაუტაშვილი,**
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

✦

## თავისუფალი ჭიდაობა

თავისუფალი ჭიდაობის ტურნირში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" მოჭიდავეები.

პირველი ადგილის საკითხს უმჩატეს წონაში წყვეტდა შეხვედრა „ბურევესტნიკის" წევრებს ზ. შყრილაძესა და ზ. ნიკოლაიშვილს შორის. ზ. შეყრილაძემ ჩოქბჯენში მე-10 წუთზე მოიპოვა სუფთა გამარჯვება.

მჩატე წონაში თ. კალატოზიშვილმა („ლოკომოტივი") ქულებით მოიპოვა გამარჯვება შ. ჯამიაშვილთან („განთიადი") შეხვედრაში და დაიკავა პირველი ადგილი.

ბურევესტნიკელმა ე. დავლიანიძემ (ქვემსუბუქი წონა) ერთი დამარცხება განიცადა ფინალამდე, მაგრამ კარგად ჩაატარა დასკვნითი შეხვედრები და გამოვიდა პირველ ადგილზე. მეორე ადგილზეა დ. ბერიაშვილი („განთიადი").

ახალგაზრდა მოჭიდავე გ. ლოხოვმა („განთიადი") მსუბუქ წონაში დიდი უპირატესობით მოუგო სპორტის ოსტატ ჯ. ჭელიძეს, მაგრამ ფინალში დამარცხდა თანაგუნდელ ე. ალექპეროვთან და პირველი ადგილი მას დაუთმო.

ქვესაშუალო წონის ფინალში გავიდნენ ზ. მეშველიანი („განთიადი") და ორი ბურევესტნიკელი—ე. დენტოშვილი და ა. ქავთარაძე. ადგილები მათ შორის განაწილდა აღნიშნული თანმიმდევრობით.

საშუალო წონის ფინალში შ. მახარობლიშვილმა („ბურევესტნიკი") და მ. კილასონიამ („განთიადი") ერთმანეთს შორის ფრედ დაამთავრეს შეხვედრა და მოუგეს გ. ნოზაძეს („განთიადი"), მაგრამ ვინაიდან მახარობლიშვილს ერთი შეხვედრით მეტი ჰქონდა ჩატარებული, პირველი ადგილი მას მიეკუთვნა.

სპარტაკიადაზე ქვემძიმე და მძიმე წონებში გამოვიდნენ მხოლოდ 2-2 მოჭიდავე. ქვემძიმე წონაში ჯ. დავლიანიძემ მიუგო დ. ქავთარაძეს (ორივე „ბურევესტნიკი"), ხოლო მძიმეში — შ. შაშუაშვილმა („განთიადი") და ნ. კუჭავამ („ბურევესტნიკი") ფრედ დაამთავრეს შეხვედრა და გაიყვეს I-II ადგილები.

**დ. ციმაკურიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# ვ. კუცი — მეცხრე ადგილზე

ესტონეთის დედაქალაქში — ტალინში მიმდინარეობს სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა მძლეოსნობაში. გარდა იმისა, რომ აქ ბრძოლა წარმოებს ოქროს მედლებისათვის, გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც ამხანაგურ მატჩში უნდა შეხვდეს ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებს.

ჩემპიონატის პირველი დღის სენსაციას წარმოადგენდა მელბურნის ოლიმპიური თამაშების გმირის, სტაიერულ დისტანციებზე მსოფლიო რეკორდსმენის ვ. კუცის დამარცხება 5000 მეტრზე რბენაში, იგი მხოლოდ მე-9 იყო ფინიშთან. გამარჯვება მოიპოვა პ. ბოლოტნიკოვმა (მოსკოვი).

100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის რბენას ერთხანს ლიდერობდა ი. კონოვალოვი (ბაქო), მაგრამ ფინიშთან წინ გაიჭრა კიეველი სპრინტერი ლ. ბარტენევი. რომელმაც მოიგო კიდეც ეს დისტანცია — 10,6. ქალთა შორის ამავე მანძილზე რბენაში გაიმარჯვა ვ. კრეპკინამ (კიევი) — 11,7.

საინტერესო იყო ბრძოლა ბირთვის კვრაში ქალთა შორის ლენინგრადელ სპორტსმენებს გ. ზიბინას, თ. ტიშკევიჩსა და ტ. პრესს შორის. პირველ ადგილზე გამოვიდა პრესი, მეორეზე — მსოფლიო რეკორდსმენი ზიბინა, მესამეზე — ოლიმპიური ჩემპიონი ტიშკევიჩი.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოველმა ი. სტეპანოვმა, რომლის შედეგია 2 მ 03 სმ. მომდევნო ადგილებზე არიან ვ. ომელჩუკი (ოდესა) და ი. კაშკაროვი (მოსკოვი).





ეს სურათები „ა“ კლასის კალათბურთელთა მოსკოვის ტურის შეხვედრების ცხარე დღეებს აღადგენს. პირველ სურათზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოსა“ და რიგის ოსკა-ს მატჩის ერთ-ერთი მომენტი. წინა პლანზე თქვენ ხედავთ რიგელ გიგანტს — კრუმინშს, რომელიც მოხერხებულად იყენებდა თავის სიმაღლეს როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკ მო-ს კალათბურთელთა შეხვედრამ, რომელიც ცხარე მომენტებით იყო აღსავსე, ბევრი მღელვარება გადაატანინა მაყურებლებს. ერთ-ერთ ასეთ მომენტს წარმოადგენს მეორე სურათი: შეტევა მიმდინარეობს თბილისელთა ფარზე! და აი, ამ შეხვედრის შედეგის მრავლისმეტყველი სურათიც (ფოტო მარჯვნივ).



ასე გამოხატავენ დინამოელები აღტაცებას გოგელიას მარჯვე საჯარიმო ტყორცნების შემდეგ, რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოუტანა თბილისის გუნდს.

ფოტო ნ. ვოლკოვისა

# საჭიროა დასკვნების გამოტანა

დამთავრდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების სისტემაში შემავალი ტექნიკუმების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ველოსპორტი, ქართული ჭიდაობა, ფრენბურთი და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაზე, რომელიც ლაგოდეხის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობდა, თავი მოიყარა ვაჟთა 24-მა და ქალთა 11-მა გუნდმა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა, ხოლო ქალთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ სოხუმელები.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა გორის სასროლეთზე მიმდინარეობდა. აქ საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს სოხუმელმა მსროლელებმა. ველოსიპედისტთა და მძლეოსანთა შეხვედრებში გაიმარჯვეს სოხუმის სასოფლო-სამეურნეო და ფოთის ჰიდრო-სამელიორაციო ტექნიკუმების კოლექტივებმა.

ტექნიკუმების ნაკრები კოლექტივები 4-8 ივლისს ეწვიენენ საგარეჯოს ახალ საჭიდაო დარბაზს, სადაც ჩატარდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში. 15 გუნდს შორის ყველას აჯობეს დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) მოჭიდავეებმა, რომელთაც უკან ჩამოიტოვეს დიღმისა (გარეუბნის რაიონი) და წინამძღვრიანთ კარის (მცხეთის რაიონი) ძლიერი კოლექტივები. პირად პირველობაში სპორტის ცალკეულ სახეობებში თავი ისახელეს: მძლეოსნობაში — ქ. ბერაიამ (ფოთი), გ. გორდავამ (ზუგდიდი), ტ. გოგიამ (ფოთი) და ზ. ქარსელაძემ (დიდი ჯიხაიში). სროლაში — დ. სიხარულიძემ (დიღომი), მ. ფოგოლაძემ და მ. დანელიამ (სოხუმი) და ბ. არაბულმა (ბაკურციხე). ქართულ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გერმანიშვილმა (გორი), აბრამიშვილმა (დიდი ჯიხაიში), ჩიკვილაძემ (მაჩხაანი), გოჩაშვილმა (მცხეთა), ილურიძემ (გორი), ბლაკაშვილმა (მცხეთა), ქიბროწაშვილმა (მცხეთა) და კაპანაძემ (ლაგოდეხი).

შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ტექნიკუმების ფიზკულტურულ კოლექტივებში წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გარდაიქმნა მუშაობა. შეხვედრებზე განსაკუთრებულად ორგანიზებულად გამოვიდნენ სოხუმის, დიდი ჯიხაიშისა და ლაგოდეხის ნაკრები გუნდები, რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს საერთო პირველი, მეორე და მესამე ადგილები.

სპარტაკიადის ჩატარების პერიოდში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებებიც, მაგალითად, ხეთის, ვანის, ცაგერის, ახალციხის, ამბროლაურის, ზესტაფონისა და სხვა ტექნიკუმებში ჯერ კიდევ არასათანადო სიმაღლეზე დგას მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა. ფაქტად ისიც კმარა, რომ ხეთელებმა გუნდების გამოყვანა ვერ შეძლეს მძლეოსნობაში, ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში; ვანელებმა — მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ქართულ ჭიდაობასა და ფრენბურთში; ზესტაფონელებმა — ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში, ამბროლაურელებმა — ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში, აბაშელებმა — მძლეოსნობასა და ქართულ ჭიდაობაში, ხოლო ახალციხელებმა — მძლეოსნობაში, ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში და ა. შ. ხულოს, ახალქალაქის, ბოლნისის, მახარაძისა და ქედის ტექნიკუმები საერთოდ არ მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში.

დაბალი მაჩვენებლებით აღინიშნა ველოსიპედისტთა შეჯიბრება. აქ მხოლოდ მესამე სპორტული თანრიგის შედეგები აჩვენეს პირველ ადგილებზე გამოსულმა სოხუმელმა სპორტსმენებმა. დაბალი შედეგებით აღინიშნა შეხვედრები მძლეოსნობასა და სროლაშიც.

ტექნიკუმების ფიზკულტურულმა საბჭოებმა და დირექციებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ ჩატარებული სპარტაკიადიდან და მეტი ყურადღება მიაქციონ გუნდების დაკომპლექტებას, მათი ინვენტარით მომარაგების საქმეს, მეტი მოთხოვონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს.

ვ. ბოგრიჟიანი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

# პირველ შეჯიბრებას განსაკუთრებული ყურადღება ჭირდება

2 აგვისტოდან მოსკოვში დაიწყება ჩვენი ქვეყნის პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. სპორტის ეს სახეობა შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის პროგრამაში. ამ ორი დიდი ღონისძიებისათვის სამზადისს კარგა ხანია შეუდგნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები. თბილისში, ფოთსა და მცხეთაში შეიქმნა გუნდები.

საკავშირო პირველობისათვის უძლიერესთა შესარჩევად საწყლოსნო სპორტის რესპუბლიკურმა სექციამ მიმდინარე წლის სპორტღონისძიებათა კალენდრის შედგენისას გაითვალისწინა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის ჩატარება თბილისში. გუნდებმა დაიწყეს მზადება, მაგრამ პირველობის დაწყებამდე (8-10 ივლისი) კარგა ხნით ადრე მონაწილეებს აცნობეს, რომ შეჯიბრება გადატანილ იქნა ფოთში. ფოთის კომიტეტმა ერთგვარი მუშაობა გასწია შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მაგრამ შეჯიბრების ჩატარების ადგილი კვლავ შეიცვალა — თბილისის ქუჩებში გაჩნდა აფიშები, რომლებიც იტყობინებოდნენ, რომ პირველი რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში გაიმართება 9-10 ივლისს თბილისის ზღვაზე.

არაორგანიზებულად ჩატარდა შეჯიბრების პირველი დღე, რომელიც სრულიადაც არ გავდა რესპუბლიკურ ჩემპიონატს. არავის უზრუნია მონაწილეთა პარადის ჩატარებისა და შეჯიბრების საზეიმო გახსნაზე. ზღვის ღელვის გამო მსაჯთა კოლეგია (მთავარი მსაჯი ს. ლისოვეცკი) იძულებული გახდა ქალთა 1000-მეტრიანი დისტანციის ნაცვლად შეჯიბრება ჩაეტარებინა 500 მეტრზე, თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობია, ოქმებში შეიტანეს თითქოს მონაწილეებს გაევლოთ 1000 მეტრი 500 მეტრზე ნაჩვენები შედეგებით.

მაგრამ აქაც არც ერთი რბოლა არ ჩატარებულა წესიერად: მსაჯებს „მხედველობიდან გამორჩათ“ დერეფნების მოწყობა სტარტზე და ფინიშზე, რაც ხელს უშლიდა გამარჯვებულის ზუსტად განსაზღვრას. უფრო მეტიც, ერთ და ორადგილიანი ნავებით შეჯიბრების დროს მონაწილეებს სტარტი მიეცათ ხაზიდან რამდენიმე მეტრით წინ. მესტარტე პისტოლეტის სროლით უფრო ერთობოდა, ვიდრე შეჯიბრების მონაწილეთა სტარტის ხაზზე გასწორებით. მონაწილე გუნდების არც ერთ წარმომადგენელს არა ჰქონდა ნომერი. ასე უინტერესოდ, მეტად არაორგანიზებულად ჩაიარა შეჯიბრების პირველმა დღემ.

მესამე დღეს (მეორე დღეს ამინდის მოლოდინში შეჯიბრება არ ჩატარებულა), კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიება „მონათლეს“ უძლიერესთა შესარჩევ შეჯიბრებად და სტარტზე გაუშვეს ვაჟები, რომელთა 2000-მეტრიანი დისტანცია თვითნებურად შეამცირეს 800-900 მეტრამდე. მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებაზე არ დაუშვა ფოთელთა ოთხადგილიანი ნავი და არც ერთი ორადგილიანი ნავი მესაჭით. საინტერესოა, რისთვის ჩამოიყვანეს ისინი, რისთვის გასწიეს ის ხარჯები, რაც ამ უფერულად ჩატარებულ ღონისძიებას დაჭირდა?

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეს ახალი და საინტერესო სახეობა — აკადემიური ნიჩბოსნობა მეტ მზრუნველობასა და დახმარებას საჭიროებს, ამის გარეშე ზედმეტია ხალხთა სპარტაკიადაზე რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი.

ო. გელაშვილი

• • •

ტექნიკურ შეხვედრათა შედეგები ასეთია. **ქალები:** ერთადგილიანი — ვ. ვოლოსევცოვა (თბილისი); ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — ზ. კნიაზევა, ს. სოვოლოვა (ფოთი); ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი — (თბილისი); ოთხადგილიანი გასაშლელი — თბილისი; რვაადგილიანი — თბილისი.

**ვაჟები:** ერთადგილიანი — ა. იზრაელაშვილი (ფოთი), ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — გ. მანჯგალაძე, ზ. პანტლაძე (თბილისი), ორადგილიანი გასაშლელი — კ. ლიპარტელიანი, ა. ხამხაძე (მცხეთა); ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭოდ — (ფოთი), ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით — (თბილისი), რვაადგილიანი მესაჭით — (ფოთი).

# ქალაქზე არსებული კოლექტივები

ოჩამჩირის რაიონის სოფლებში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები მოკლებული არიან ადგილზე ხელმძღვანელობასა და დახმარებას. სოფელ გუფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (ძირეული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ემურხბა) მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის ყველა პირობა არსებობს, მაგრამ ძირეული საბჭოს დაუდევრობის გამო აქაურ სპორტსმენებს უკვე სამი წელია რაიონულ ღონისძიებებში არ მიუღიათ მონაწილეობა. ხუთიოდე წლის წინათ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შეძენილი ფრენბურთელთა ფორმები, ველოსიპედები და სხვა ინვენტარი საწყობშია გამოკეტილი.

სამწუხაროდ, გუფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის მაგალითი გამონაკლისს არ შეადგენს. „კოლმეურნის“ ოჩამჩირის რაისაბჭოს (თავმჯდომარე კ. შამუგია) აღრიცხვაზე მყოფი 41 ძირეული კოლექტივიდან უმრავლესობა ფორმალურად არსებობს. სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დროს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა ახლა ეკალბარდითაა დაფარული, საქმიანობა შეწყვიტეს სექციებმაც. და ეს მაშინ, როცა სოფლის 200-ზე მეტ ახალგაზრდას სურვილი აქვს ივარჯიშოს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ჩაშლილია მუშაობა აგუბედიის, ილორის, ოხურიის, რეკის, კინდღის, კვიტოულის, თხინის, ოტაფის, ჭლოუს და მთელ რიგ სხვა საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში. ილორელმა ახალგაზრდებმა შარშან დაიწყეს ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების მშენებლობა, მოასწორეს მიწა, მაგრამ შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ მიწის ეს ნაკვეთი სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენა, ხოლო ბაზების შემოსაღობად შექმნილი 400 ბოძი უპატრონოდაა მიგდებული.

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს ცუდი მუშაობის გამო არ სრულდება მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. მარტო მშთ მეორე საფეხურზე გეგმით გათვალისწინებული 57 სპორტსმენიდან დღემდე არც ერთი არაა მომზადებული. ხშირად ადგილი აქვს ღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობასაც. მიმდინარე წლის ორ კვარტალში გეგმით ხუთი რაიონული პირველობა უნდა გამართულიყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სინამდვილეში ჩატარდა მხოლოდ ორი და ისიც დაბალ დონეზე. რაიონის პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობასა და თავისუფალ ჭიდაობაში ჩაიშალა.

ოჩამჩირე ზღვისპირა რაიონია, მაგრამ აქ დღემდე არავის უფიქრია საწყლოსნო სპორტის მასობრივად განვითარებისათვის. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ალპინიზმს, ჩოგბურთსა და სროლას.

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს რომ კითხოთ, გიპასუხებენ თითქოს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განკარგულებაში არის ფეხბურთის 23, ფრენბურთის 27, კალათბურთის 12 მოედანი, 5 საჭიდაო სარბიელი და სხვა ბაზები, მაგრამ სინამდვილეში ძირეული კოლექტივების უმეტესობას არ გააჩნია უმარტივესი ტიპის ბაზაც კი.

ოჩამჩირის სოფლის ფიზკულტურელებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ასეთი დაბალი დონე გამოწვეულია საქმისადმი „კოლმეურნის“ რაისაბჭოს უსულგულო დამოკიდებულებით, ფიზკულტურისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების არასათანადო დახმარებით.

ვ. დოხნაძე



# ზეიმი ტუშინოს აეროდრომზე

მოსკოვში ტუშინოს აეროდრომზე გაიმართა დიდი საავიაციო ზეიმი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლები. ათასობით შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ვ. პ. ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის ტრიბუნაზე ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ა. ი. მიქოიანის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ა. ნ. კოსიგინის, დ. ს. პოლიანსკის გამოჩენას.

პირველი განყოფილება მიეძღვნა პლანერიზმს. პილოტაჟის მაღალი კლასი აჩვენეს საბჭოთა პლანერისტებმა ლ. ბონდარუკმა, ვ. მახოვმა, ვ. ოხონკომ, ს. ანოხინმა და სხვებმა. წარმატება ხვდათ აგრეთვე პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს.

სპორტულ თვითმფრინავებზე აკრობატული პილოტაჟი გააკეთეს საბჭოთა, რუმინელმა და ჩეხოსლოვაკელმა მფრინავებმა. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის უახლესმა თვითმფრინავებმა „ტუ-114“, რომელიც კონსტრუირებულია გამოჩენილი საბჭოთა გამომგონებლის ა. ნ. ტუპოლევის მიერ.

ბევრი რამ იყო საინტერესო დღესასწაულის საპარაშუტო განყოფილებაში, რომლის დასასრულს ასობით სპორტსმენი გადმოხტა 36 საჰაერო ხომალდიდან.

ტუშინოს აეროდრომზე მოწყობილმა საჰაერო დღესასწაულმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის მფრინავების, პარაშუტისტების, პლანერისტების შეუდარებელი ოსტატობა.

# მატჩები ფინალში

ვორონეჟი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.) [illegible] მატჩები ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლების საკავშირო გათამაშებაში. როგორც ცნობილია, ფინალში გავიდნენ ლენინგრადის, თბილისის, კიევისა და კიშინიოვის გუნდები.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და კიშინიოვის გუნდები, სადაც აშკარა იყო კიეველთა უპირატესობა. მათ მოიგეს შეხვედრა დიდი ანგარიშით — 6:0.

უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თბილისისა და ლენინგრადის გუნდების მატჩი. იგი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 2:1.

19 ივლისს თამაშობდნენ თბილისისა და კიევის ახალგაზრდა ფეხბურთელები. თბილისელებს ინიციატივა ჰქონდათ მთელი მატჩის განმავლობაში. პირველ ტაიმში გამოუყენებელი პენალტის შემდეგ ბუგუნთელმა საჯარიმო დარტყმიდან გახსნა ანგარიში, ხოლო მალე ჰკუასელმა მეორე ბურთიც გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ლენინგრადმა მოუგო კიშინიოვს — 2:0.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან კიევი — ლენინგრადი და თბილისი — კიშინიოვი.

# დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს

### საბჭოთა კავშირის პირველობა წყალში ხტომაში

ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა წყალში ხტომაში.

შეჯიბრების მეორე დღე დაიწყო 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებით გოგონათა შორის. არა მხოლოდ მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქიდანაც გამოჩნდნენ ნიჭიერი, მომავლის მქონე მოზარდი წყალში მხტომელები. თუ პრიზიორთა შორის გოგონათა ყველა წინა საკავშირო პირველობაზე უცილობლად მოსკოველი და ლენინგრადელი ნორჩი სპორტსმენები იყვნენ, ახლა უკვე მათ რიგებს შეემატნენ სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც. ასე, ლენინგრადელ ნ. ერშოვასა და მოსკოველ ვ. სანეტოვას შემდეგ, რომლებმაც პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, გოგონათა შორის უძლიერესი აღმოჩნდა უზბეკეთის სპორტსმენი ნ. კარაკასაროვა. საქართველოს სპორტულ ღირსებას ამ სახეობაში იცავდნენ დ. კინწურაშვილი და ლ. მახვილაძე. ორივე მათგანმა მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა და კარგი ჩასათვლელი ქულები მისცა თავის გუნდს, რომელმაც ამ სახეობის შემდეგ მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

გოგონათა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაიმართა შესარჩევი ასპარეზობა ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. მრავალრიცხოვან მეტოქეთა შორის თავიდანვე დაწინაურდნენ საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი ნ. კრუტოვა და ევროპის ჩემპიონი ვ. ჩუმიჩევა.

ჯერ კიდევ შესარჩევ შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი ტ. ინწკირველი, რომელმაც დაბალი შეფასება მიიღო მესამე კლასის სავალდებულო ხტომაში. მაყურებელთა და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა საქართველოს გუნდის მეორე წარმომადგენელმა მ. ეროგინამ. მისი ხტომები გამოირჩევა მოქნილი და რბილი მოძრაობებით.

დაძაბული ბრძოლით წარიმართა ვაჟების ფინალური შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. „დავა“ ძირითადად მიმდინარეობდა პირველი ხტომების შემდეგ დაწინაურებულ ახალგაზრდა ლვოველ ოსტატს — ვ. მიშინსა და ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, მოსკოველ რ. ბრენერს შორის. გამოცდილმა ოსტატმა თავის სასარგებლოდ გადაჭრა ეს ამოცანა. მას მხოლოდ 0,47 ქულით ჩამორჩა ვ. მიშინი, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი წილად ხვდა აგრეთვე ახალგაზრდა ოსტატს — ვ. ჩერნიშევს (რსფსრ). საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ა. ხარჩიკიანი, რომელიც ნახევარფინალში წარმატებით გამოდიოდა, მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა.

დღის მეორე ნახევარში ვაჟები ერთმანეთს ებრძოდნენ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. საქართველოს სპორტულ ღირსებას ამ სახეობაში იცავდნენ ვ. პიროჟკოვი, გ. გონგაძე და ს. კამოევი. მათ კარგად შეასრულეს პროგრამის სავალდებულო ნაწილი და მოხვდნენ 16 უძლიერეს მხტომელთა რიცხვში. მეორე დღის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზეა. შეჯიბრების მე-3 დღეს დამთავრდა ასპარეზობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის. ჩემპიონი გახდა მ. ჩაჩბა (166,31 ქ.). მეორე ადგილზეა რ. ბრენერი (165,88 ქ.). მესამეზე — ვ. ხახანოვი (162,62 ქ.).

იშვიათი დაძაბულობით მიმდინარეობდა ქალთა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. უკანასკნელ ხტომამდე შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ ვინ დაისაკუთრებდა ჩემპიონის ოქროს მედალს. აქ მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა ევროპის ჩემპიონი ვ. ჩუმიჩევა. მან შესანიშნავად შეასრულა ერთნახევარი სალტო უკან, რამაც საშუალება მისცა სულ მცირეოდენით გადაესწრო ახალგაზრდა ნიჭიერი მეტოქე — ვ. კლიმჩენკოსათვის და დაებრუნებინა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება. ვ. კლიმჩენკო მას მხოლოდ 0,18 ქულით ჩამორჩა.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ ტ. ინწკირველმა მონდომებით განაგრძო ბრძოლა ნახევარფინალურ ჯგუფში. აქ მან ყველას გადაასწრო და საერთო მერვე ადგილის დაკავება შეძლო. ეს გარკვეული პროგრესია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ წელს მას მე-15 ადგილი ეკავა. ტ. ინწკირველს აქვს კარგი ტანვარჯიშული და აკრობატული მომზადება. თუ ის გონივრულად გადაათვალიერებს ნებისმიერი ხტომების პროგრამას და ზოგიერთ ხტომას შეცვლის, ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალში მისი პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

გ. მაზუროვი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შ. ჯულელი

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივლისისათვის ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 11 | 6 | 4 | 1 | 25:11 | 16 |
| „ზენიტი“ | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 14 |
| „ლოკომოტივი“ | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 14 |
| ცსკ მო | 12 | 5 | 4 | 3 | 22:15 | 14 |
| „შახტიორი“ | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ტორპედო“ | 10 | 3 | 6 | 1 | 25:18 | 12 |
| „დინამო“ თბ. | 11 | 5 | 2 | 4 | 20:28 | 12 |
| „დინამო“ კ. | 11 | 2 | 6 | 3 | 19:17 | 10 |
| „დინამო“ მ. | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „მოლდოვა“ | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | 7 |
| „ადმირალტეეცი“ | 12 | 3 | 0 | 9 | 17:31 | 6 |

• • •

მოსკოვი. 20 ივლისი. აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკ მო (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

• • •

მოსკოვი. 21 ივლისი. მორიგ მატჩში საკავშირო პირველობაზე თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“.

მატჩი მოიგეს რკინიგზელებმა — 1:0.

## სსრ კავშირის თასზე

როსტოვი. აქ გაიმართა ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა სკვო-მ მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი“.

თამაში მოიგეს როსტოველებმა ანგარიშით 2:0.

• • •

გროზნო. ამავე ზონაში მეორე ნახევარფინალური თამაში შედგა გროზნოს „თერგსა“ და ქუთაისის „ლოკომოტივს“ შორის.

მატჩი მოიგო „თერგმა“ — 2:0.

## ხელოვნების მუშაკთა სახლში

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საჭადრაკო სექცია, რომლის ინიციატივით ამას წინათ ჩატარდა ხელოვნების ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ძირეული კოლექტივების გუნდური პირველობა.

ფინალურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მოჭადრაკეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ზ. ფალიაშვილის ოპერის თეატრის სპორტსმენები.

ი. თოდრია

# მონაწილეთა რიცხვი სარეკორდოა

ბუდაპეშტი. 24-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეადგინა თავისი მუშაობის ზუსტი გრაფიკი: 22 ივლისს შედგება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა სხდომა; 23 ივლისს— კონგრესის სხდომა; 24 ივლისს — ტექნიკური კონფერენცია, რომელიც განიხილავს პირველობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

24 ივლისს 18 საათზე შედგება ჩემპიონატის საზეიმო გახსნა და პირველი ტური.

როგორც უნგრული გაზეთები იუწყებიან, ბუდაპეშტის ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი სარეკორდოა, თუმცა განაცხადების შეტანა ჯერ არ დამთავრებულა. მაგალითად, ბოლო დღეებში მოვიდა ოფიციალური ცნობები იტალიისა და პოლონეთის ფედერაციებიდან, რომლებიც სრული გუნდებით მიიღებენ მონაწილეობას შეჯიბრებაში.

ბუდაპეშტში სრულად დაკომპლექტებული გუნდებით გამოვლენ: ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, შვეცია, სსრ კავშირი, თურქეთი. 7-7 მოჭიდავეს წარმოადგენენ ავსტრია, დანია, არაბეთის გაერთიანებული სახელმწიფო, იუგოსლავია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და შვეიცარია. საბერძნეთის, ჰოლანდიის, ისრაელის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების გუნდების შემადგენლობაშია 3-6 მოჭიდავე.

მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრები ჩატარდება ჩოგბურთის სტადიონზე, რომელიც 10.000 მაყურებელს იტევს.

# სარბიელზე — ნორჩი აკრობატები

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დაიწყო ნორჩ აკრობატთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

შეჯიბრების პირველ დღეს საყოველთაო ინტერესს იწვევდა აკრობატთა გამოსვლები სავალდებულო ხტომებში მოზრდილთა პროგრამით.

გოგონათა შორის პირველ თანრიგში დაწინაურდა ლ. გილჩუკი (უკრაინა), რომელმაც დააგროვა 36,75 ქულა. ლიდერს მცირე განსხვავებით ჩამორჩნენ გ. ბოლდირევა (მოსკოვი), ნ. ხარლანი (ბელორუსია) და ნ. რთველაძე (საქართველო).

ოსტატთა პროგრამით საუკეთესო მაჩვენებელი სავალდებულო ხტომაში ჰქონდა ნ. ნიკიფოროვას (რსფსრ) — 37,25 ქულა. ვ. მერმეკოვას (უკრაინა) და მ. აბრამოვას (მოსკოვი) შესაბამისად ჰქონდათ 36,35 და 36,15 ქულა.

ჭაბუკთა შორის პირველ თანრიგში დაწინაურდა უკრაინელი ვ. შპიგუნი, რომელსაც 36,8 ქულა აქვს. მას 0,75 ქულით ჩამორჩება მ. მოროზი (რსფსრ), ხოლო საქართველოს გუნდის წევრებს ნ. მახარაძეს და ე. მინასოვს აქვთ 35,45 ქულა თვითეულს.

ოსტატთა პროგრამით ჭაბუკთა შორის გამოდის მხოლოდ რსფსრ-ს გუნდის წარმომადგენელი ვ. სტენინი. მან სავალდებულო ხტომებში მიიღო 36,75 ქულა.



# 24 აგვისტოს აღინიშნება ფიზკულტურელის დღე!

◆

## ამხანაგებო ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, ვემზადოთ ამ ღირსეული თარიღისათვის!



სურათებზე: წყვილთა გამოსვლები. მარცხნივ—ლ. ჯოჯუა და ნ. ლივარდი. მარჯვნივ — ლენინგრადელები გ. ახრომოვა და ა. ჩეიდეცკაია.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ფოტო ე. საარისა



ამას წინათ ქ. ტალინის გარეუბნის სავზატკეცილო ტრასაზე პირიტა-კოზე-კლოოსტრიმესტაზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა სამოტოციკლო სპორტში.

ს უ რ ა თ ზ ე: 350 კუბური სანტიმეტრიანი კლასის მანქანებით რბოლაში გამარჯვებული ბ. ივანოვი (საბჭოთა არმია) დისტანციაზე. მან აჩვენა საშუალო სიჩქარე 109 კილომეტრი საათში.

# ბოტვინიკ-სმისლოვის მატჩის გარშემო

საჭადრაკო სამყაროში ბევრს ლაპარაკობენ ბოტვინიკ-სმისლოვის ორთაბრძოლის ირგვლივ. სპორტული პრესა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ ათავსებს წერილებსა და სტატიებს, რომლებიც ძირითადად ორ საკითხს შეეხება: პირველი—თვით ბრძოლის პროცესს და გროსმაისტერების შემოქმედებით მიღწევებს, ხოლო მეორე — იმას, თუ როგორ იქნას აღმოფხვრილი მომავალში მატჩებში შემჩნეული შეცდომები.

ის, რომ შეუპოვარმა ბრძოლამ ორივე მეტოქე დაღალა შესამჩნევი გახდა მატჩის დასასრულს, როცა გროსმაისტერები ჩვეულებრივზე მეტ შეცდომებს უშვებდნენ. ამიტომ წამოიჭრა აზრი, რომ არაა საჭირო ორთაბრძოლის „მარათონული“ დისტანცია—24 პარტია შეიცვალოს მხოლოდ 20 პარტიის გათამაშებით. ამის წინააღმდეგ გამოვიდა გროსმაისტერი ბრონშტეინი. მან სხვა წინადადება წამოაყენა: იმის გამო, რომ მსოფლიო პირველობაზე უნდა გათამაშდეს მხოლოდ და მხოლოდ მაღალმხატვრული პარტიები საჭიროა გადიდდეს დრო, რომელიც მოცემულია სვლების მოსაფიქრებლად (5 საათი 40 სვლაზე). ამის აუცილებლობაში ბრონშტეინი დარწმუნდა მატჩის თითქმის ყველა პარტიის ანალიზით (განსაკუთრებით მეთხუთმეტე პარტიისა, სადაც ბოტვინიკმა უკეთეს მდგომარეობაში გადაცილა დროს).

კიდევ უფრო ბევრი იწერება მატჩის ორგანიზაციის შესახებ. ცნობილია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ საჭადრაკო შეჯიბრებებს საბჭოთა კავშირში კარგად აწყობენ, მაგრამ 1957 და 1958 წლების მატჩებმა ცხადყვეს, რომ მაყურებელი ზოგჯერ ზედმეტად განიცდის ბრძოლის პერიპეტიებს და თავისი ხმაურით ხელს უშლის თამაშის ნორმალურ მსვლელობას. ამის გარშემო გამოითქვა რამდენიმე აზრი.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა როგარდმა შემოიტანა წინადადება შემოღებულ იქნას შუშის ან გამჭვირვალე ცელულოიდის ფარდა, რომელიც სავსებით გამოყოფს სცენაზე მყოფ მოჭადრაკეებს მაყურებლ ე ბ ი ს ა გ ა ნ. მსოფლიო ჩემპიონმა ბოტვინიკმა სხვა გამოსავალი მოძებნა — ბრძოლა გადატანილ იქნას დახურულ დარბაზში, ე. ი. ცალკე ოთახში, ხოლო მაყურებლებმა ბრძოლის მსვლელობას თვალი ადევნონ ტელევიზორის დახმარებით.

მიიღებენ თუ არა ამ წინადადებებს მსოფლიო პირველობათა ორგანიზატორები, ჯერ არაა ცნობილი, მაგრამ ცხოვრება უკარნახებს მათ მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას, რათა მომავალში ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის მაღალ შემოქმედებით დონეზე მიმდინარეობდეს.

**თ. გიორგაძე**

# საზღვაო სახეობებში

ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა სპორტის საზღვაო სახეობებში.

სკუტერებზე 10-კილომეტრიან რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა სოხუმელი ი. რებეზოვი. მისი თანაგუნდელის — ვ. სტარჩენკოს გამარჯვებით აღინიშნა საინტერესო ბრძოლა 20-კილომეტრიან დისტანციაზე, ხოლო 1 კილომეტრზე რბოლაში პირველი იყო ბათუმელი სპორტსმენი მ. გეგენავა.

კარგ შედეგებს მიაღწიეს მოტონავებით რბოლაში ბათუმელებმა კ. ალანიამ და კ. ზვიახჩევსკიმ, რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა მოზრდილ და ჭაბუკ საზღვაო მრავალჭიდელებს შორის. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აჭარის მოზრდილთა ნაკრებმა, რომლის წარმომადგენელი ვ. ჩერნიშევი პირველ ადგილზე გამოვიდა პირად ჩათვლაშიც. ჭაბუკ მრავალჭიდელთა შორის პირველი იყო ბათუმის საზღვაო კლუბის გუნდი.

საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს საზღვაო მოდელისტებმა, რომელთა შორის მაღალი შეფასებით აღინიშნა ვ. კრიუჩკოვის (ქუთაისი), ა. იამშჩიკოვის (სოხუმი), ს. კუზენკოს (ბათუმი), რ. ხაჩატურიანის (ბათუმი), ვ. მაჟარისა (სოხუმი) და სხვათა მოდელები.

**ა. ლავრენტიევი**

# ზურნა უკრავდა საჭიდაოს

✦

**საქართველოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში**

✦

გორელებმა მშვენიერი ასპარეზობა იხილეს. და არა მხოლოდ ისინი, არამედ კასპიდან, თბილისიდან, საგარეჯოდან მრავლად ჩამოსულნიც აღტაცებით ეგებებოდნენ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 1958 წლის პირადი პირველობის ფინალის მონაწილეებს.

შეხვედრების ზონებად ჩატარება მონაწილეებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელია. მაგრამ, მიუხედავად ოფიციალური თანხმობისა, არც ერთი მონაწილე არ წარმოადგინეს აფხაზეთის, ოსეთის, ზესტაფონის, თიანეთის, ცაგერის, წალენჯიხის, ორჯონიკიძის, ხობის, ბოგდანოვკის, მარნეულისა და ქუთაისის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებმა.

ასეთივე გულგრილობა გამოამჟღავნეს აჭარის, ონის, კასპის, საგარეჯოს, გორის, ახმეტის, ხაშურის, ლენტეხის, სამტრედიის, ამბროლაურისა და წულუკიძის ფიზკულტურის კომიტეტებმა.

მაყურებელთა ინტერესი გაძლიერდა, როცა ცხადი გახდა, რომ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ მოსკოველები, ჭიდაობა სამბოში საკავშირო ჩემპიონები ვ. დარაშკევიჩი (ქვემსუბუქი წონა) და ე. გლარიზოვი (საშუალო წონა), რომლებმაც მოსაწონი სიმკვირცხლით ჩაატარეს ქართული ჭიდაობის ფანდები. აღსანიშნავია, რომ გლარიზოვი მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ხოლო დარაშკევიჩი — მეხუთეზე.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტივიანი ახალგაზრდა გამოამჟღავნა. უმჩატეს წონაში გორელმა ნასყიდაშვილმა დაამარცხა ახალგაზრდა, მაგრამ ნაცადი მოჭიდავე ჩ. ქუცნიაშვილი და პირველ ადგილზე გამოვიდა. საუკეთესო შედეგებს მიაღწია დღემდე უცნობმა ა. ბიჭოშვილმა (ქარელი), რომელმაც ქვემსუბუქ წონაში მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა მოსკოველ დარაშკევიჩთან და მაინც ჩემპიონი გახდა. მსუბუქ წონაში შესანიშნავად იბრძოდნენ გორელი ა. ბაზერაშვილი, კასპელი გ. ბალხამიშვილი, სამტრედიელი გ. კოჭლაშვილი და თბილისელი ა. ოდიშვილი; ამ უკანასკნელმა მოწინააღმდეგეებთა გამარჯვებებში ნაკლები დროის დახარჯვით გაუსწრო ძლიერ მეტოქეს — ბაზერაშვილს და პირველი ადგილი მოიპოვა. ქვესაშუალო წონაში ყველა შეხვედრა მოიგო და პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. მარიამული (თბილისი). მჩატე წონის მოჭიდავეთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ახმეტელი ბ. მაისურაძე.



საშუალო წონის შვიდ მოჭიდავეში მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურეს გორელმა დ. ბერუაშვილმა, თბილისელმა გ. სულაშვილმა და მცხეთელმა ბ. ბალაკაშვილმა. სულაშვილმა თუმცა ქულებით მოუგო ბერუაშვილს, სამაგიეროდ წააგო ბალაკაშვილთან, რომელმაც სუფთა დამარცხება განიცადა ბერუაშვილისაგან. ასე რომ, ეს უკანასკნელი პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

ყველაზე საინტერესო იყო ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შერკინება. ამ წონაში მონაწილეთა რაოდენობაც სხვებზე მეტი (11) იყო. ნაცად მოჭიდავეებს ს. მაისურაძეს, ა. კიკნაძეს, ა. ზურაბაულს, კ. უნდილაშვილს გვერდში ამოუდგნენ მომავლის მქონე, ძლიერი ჭაბუკები ა. ქიბროწაშვილი (მცხეთა), მ. კანდელაკი (ლანჩხუთი), ა. კაპანაძე (სიღნაღი) და სხვანი, რომლებიც თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ ბევრჯერ აცვლევინეს ფერი თავიანთ ძლიერ მეტოქეებს. ამ წონაში, ფინალს მიაღწიეს ს. მაისურაძემ, ა. ზურაბაულმა, ა. კიკნაძემ (თბილისელები) და დ. ზითანიშვილმა (სამტრედია). ა. კიკნაძემ ქულებით მოუგო ს. მაისურაძეს და ქულებითვე დამარცხდა ა. ზურაბაულთან, რომელსაც აგრეთვე ქულებით მოუგო ს. მაისურაძემ. ამრიგად, თვითეულს ოთხი ქულა ჰქონდა და საკითხი მხოლოდ იმის მეოხებით გადაწყდა, რომ მათი მეოთხე მოქიშპე — დ. ზითანიშვილი მოკლე დროში (45 წამში) დაამარცხა ს. მაისურაძემ. ამით მან პირველი ადგილი გაინაღდა და უკვე მეთერთმეტეჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

მძიმე წონაში მხოლოდ ოთხი კაცი მონაწილეობდა. ა. ვარდოშვილი იოლად გავიდა პირველ ადგილზე.

**მ. ხერხეულიძე**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ჭიდაობის ერთი მომენტი.

17 ივლისს ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა საქართველოს სსრ 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და სხვა გუნდები. გუნდურ პირველობაში უძლიერესი აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრები კოლექტივი, რომელმაც ანგარიშით 10:0 მოუგო აჭარას, ხოლო ფინალში დაამარცხა აფხაზეთის ჩოგბურთელები — 12:3. მეორე ადგილზეა აფხაზეთი, მესამეზე — ქუთაისის გუნდი. აღსანიშნავია ქუთაისელი სპორტსმენების გამარჯვება აფხაზეთის გუნდზე, რომლის წევრებს სპორტის ამ სახეობაში სრულწლიური წვრთნის შესაძლებლობა და კარგი სპორტული ბაზები აქვთ. მაგრამ როგორც აჭარაში, ისე აქაც ჩოგბურთელები მოკლებული არიან მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს და შედეგებიც არასახარბიელოა.

# ი. რიაზანოვა და გ. ღარიბაშვილი— ჩემპიონები

საინტერესო გამოდგა პირადი პირველობა, სადაც გამარჯვებისათვის ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა მეოთხედფინალურ შეხვედრებში. ი. ელერდაშვილი დამარცხდა ვ. ურაევსკისთან, ა. ვერულავამ შეძლო ო. ქარხალაშვილზე გამარჯვება, ხოლო ლ. მძინარიშვილმა ადვილად გასტეხა ვ. გოგლიძის წინააღმდეგობა და დაამარცხა იგი სამ პარტიაში. ნახევარფინალებში ყველაზე საინტერესო იყო ვ. ურაევსკისა და სსრ კავშირის პირველობის ალმა-ატის ზონაში გამარჯვებულ ა. ვერულავას მატჩი. გაიმარჯვა ვ. ურაევსკიმ. მეორე ნახევარფინალში გ. ღარიბაშვილმა მოუგო ლ. მძინარიშვილს. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ურაევსკი და გ. ღარიბაშვილი. ანგარიში წაიყვანა ვ. ურაევსკიმ, რომელმაც მოიგო პირველი პარტია. მაგრამ მორიგ პარტიაში დამარცხების შემდეგ (4 : 6) მან თითქმის შეწყვიტა წინააღმდეგობა, რითაც კარგად ისარგებლა გ. ღარიბაშვილმა და მოიპოვა ჩემპიონის საპატიო სახელი. გამარჯვებულის მისამართით უნდა ითქვას, რომ მან მოფიქრებული და ენერგიული თამაში აჩვენა.

ქალთა პირად პირველობაში კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა სსრ კავშირის პირველობის ბალტიისპირეთის ზონაში გამარჯვებულმა ი. რიაზანოვამ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის ფინალური მატჩი აბუანდაძესთან.

ვაჟთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ გ. ღარიბაშვილი და ა. ვერულავა. ქალთა შორის — ი. რიაზანოვა და კ. მინაევა. შერეულ წყვილთა შორის უძლიერესნი იყვნენ ი. რიაზანოვა და ა. ვერულავა.

**ი. გეგელაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# მეგობრული მოტოგადარბენა

კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს ბათუმელმა მოტოციკლისტებმა მეგობრული გადარბენა მარშრუტით ბათუმი-კიროვაკანი-ბათუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ მექანიკოსები — ა. ბალუკი, ვ. კომოვი და მძღოლები: გ. კოტრიკაძე, ს. მარქარიანი, ო. ემინაძე, ხ. ჰინჭარაძე, პ. ცაცანიდი, მ. გოლომანიძე და სხვ. სულ 14 სპორტსმენი.

მოტოციკლისტებმა ორ დღეში დაფარეს ტრასა: ბათუმი-მახარაძე-ქუთაისი-ხაშური - თბილისი - ყაზახი-იჯევანი-კიროვაკანი.

სპორტსმენებმა წარმატებით დაძლიეს დაბრკოლებანი და ბათუმელ მშრომელებს კიროვაკანელი მეგობრების სალამი გადასცეს.

**მ. კირაკოსიანი**

# გვჭირდება შეჯიბრებათა წესები

ხუთ წელზე მეტია, რაც ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური სექციის პლენუმმა დაამუშავა და ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს გადასცა „ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების ჩატარების წესების“ უკანასკნელი რედაქცია, რომელიც სარეცენზიოდ ფიზკულტურისა და სპორტის კვლევით ინსტიტუტს გადაუგზავნა.

რაშია საქმე? რატომ ჭიანურდება საჭირო წიგნის გამოცემა მაშინ როცა ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების ჩატარებისას ხან მოძველებული წესებით გვიხდება ხელმძღვანელობა, ხან კი ცალკეულ საკითხზე ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს ვაწუხებთ.

**ვ. ტერუნაშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03738